სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/130

05 06 2019 წ.

ქ. თბილისი

ბაკალავრიატის სტუდენტთათვის სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 3 ივნისის №734 ბრძანების საფუძველზე და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 ივნისის № 01-05-04/131 დადგენილების შესაბამისად სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთათვის აღნიშნული სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სტუ-ს ბაკალავრიატის სწავლების I, II, III და IV წლის საუკეთესო რეიტინგის მქონე სტუდენტებს ამ ბრძანებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად დაენიშნოთ 150-ლარიანი სახელმწიფო სტიპენდია 2019 წლის პირველი მარტიდან 2019 წლის პირველ აგვისტომდე 5 კალენდარული თვის განმავლობაში;
2. სახელმწიფო სტიპენდიანტების შერჩევა მოხდეს წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიების მიერ;
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სწავლების I, II, III და IV წლის სტუდენტებს, რომლებსაც 2018–2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სესიების შედეგების მიხედვით (სტუ-ს რექტორის 2019 წლის 15 იანვრის N01-09-10/01 ბრძანებით განსაზღვრულ საგამოცდო სასესიო ვადებში – 2019 წლის 18 თებერვლიდან 23 თებერვლის ჩათვლით) აქვთ მაღალი რეიტინგი, არანაკლებ 85 %-ისა, შეიძლება დაენიშნოთ სახელმწიფო სტიპენდია;
4. სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევისას ფაკულტეტისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში, თანაბარი რეიტინგის დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა კონფერენციებში და სხვ. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;
5. თუ რომელიმე ფაკულტეტზე ამ ბრძანებით გათვალისწინებული კრიტერიუმების

6. ამ ბრძანების შესაბამისად სტიპენდიანტთა რაოდენობის განსაზღვრა მოხდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის შესაბამისად, სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან;
   - სამშენებლო ფაკულტეტი – 93 სტუდენტი;
   - ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი – 88 სტუდენტი;
   - სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი – 29 სტუდენტი;
   - ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – 39 სტუდენტი;
   - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი –55 სტუდენტი;
   - არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი – 31 სტუდენტი;
   - ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი – 65 სტუდენტი;
   - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი – 114 სტუდენტი;
   - დიზაინის საერთაშორისო სკოლა - 2 სტუდენტი
   - აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი - 66 სტუდენტი;
   - სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი - 76 სტუდენტი;
   - საინჟინრო ეკონომიკის,მედიატექნოლოგიის და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი -44 სტუდენტი
7. სტიპენდიანტთა შერჩევის შედეგები გამოიკრას შესაბამის ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე;
8. ფაკულტეტების საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე მომზადდება და გამოიცემა რექტორის ბრძანება სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე;
9. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე;
10. ბრძანებაზე კონტროლი დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს თ.წერეთელს

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*